



იურიდიული დახმარების საბჭო

N-98

5 თებერვალი, 2022 წელი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი იურიდიული დახმარების სამსახურის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ცვლილება შევიდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირი იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ იურიდიული დახმარების საბჭოს 2017 წლის 26 სექტემბრის N53 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იურიდიული დახმარების სამსახურის დებულებაში“ და 25-ე მუხლის 3¹ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3¹. რეესტრის ადვოკატისათვის საქმის გადაცემა დირექტორის გადაწყვეტილებით შესაძლოა მოხდეს მოწმისათვის, დაზარალებულისათვის იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ მომართვის შემთხვევაში“;
2. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარე:

ირაკლი გვარამაძე

საბჭოს წევრები:

რამაზ ჩინჩალაძე

თამარ გვარამაძე

სოფო ჩაჩავა

პავლე აბაიაძე

თეა ჭეიშვილი

ნატო ირემაძე